



ლიბერალური  
ოღისეა

ვიქტორ ჰელაჰინი

# GENERATION „3“

რუსულიდან თარგმნა შოთა იათაშვილმა



გაკურსულაკაურის  
გამომცემლობა

## ეძღვნება საშუალო ფენის ხსოვნას

ტექსტში ნახსენები ყველა სავაჭრო მარკა პატივცემული მფლობელების საკუთრებაა და მათი ყველა უფლება დაცულია. საქონლის სახელწოდებები და პოლიტიკოსთა გვარ-სახელები არ მიანიშნებს რეალურად არსებულ საბაზრო პროდუქტებზე და წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ საბაზრო-პოლიტიკური საინფორმაციო სივრცის ელემენტთა პროექციებს, ნაძალადევად ინდუცირებულს ინდივიდუალური გონების ობიექტებად. ავტორი გთხოვთ, ისინი აღიქვათ მხოლოდ ამ სახით. ყველა დანარჩენი თანხვედრა შემთხვევითია. ავტორის მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მის ხედვას.

I'M SENTIMENTAL, IF YOU KNOW WHAT I MEAN;  
I LOVE THE COUNTRY BUT I CAN'T STAND THE SCENE.  
AND I'M NEITHER LEFT OR RIGHT.  
I'M JUST STAYING HOME TONIGHT,  
GETTING LOST IN THAT HOPELESS LITTLE SCREEN.

Leonard Cohen\*

---

\* სენტიმენტალური არსება ვარ, თუ სწორად გესმით ამ სიტყვის აზრი, მიყვარს ქვეყანა, თუმც მის სცენაზე არ შემიძლია არაფრით დგომა. არც მემარცხენე არა ვარ და არც მემარჯვენე. უბრალოდ, ვზივარ ჩემთვის სახლში საღამოთი და ვიკარგები ამ უიმედო, მომცრო ეკრანში (ლეონარდ კოენი).

## თაობა „პ“

ოდესლაც რუსეთში მართლა ცხოვრობდა უდარდელი ახალგაზრდობა, რომელმაც გულლიად გაულიმა ზაფხულს, ზღვასა და მზეს – და აირჩია „პეპსი“.

ახლა უკვე ძნელი დასადგენია, რატომ მოხდა ასე. გადამწყვეტი ალბათ არც ამ სასმლის შესანიშნავი გემო იყო და არც კოფეინი, რომელიც გოგო-ბიჭებს აიძულებს, გამუდმებით მოითხოვონ ახალ-ახალი დოზა და რომელსაც ამ გზით ისინი ბავშვობიდანვე საიმედოდ შეჰყავს კოკაინის ფარვატერში. და თვით ბანალური ქრთამიც კი არა – გვინდა გვჯეროდეს, რომ იმ პარტიულმა ბიუროკრატმა, რომელზეც კონტრაქტის გაფორმება იყო დამოკიდებული, უბრალოდ, ადგა და, კომუნიზმის რწმენადაკარგულმა, მთელი თავისი არსებით შეიყვარა ეს მუქი შუშუნა სითხე.

მიზეზი ალბათ უფრო ის იყო, რომ სსრკ-ს იდეოლოგებს მიაჩნდათ – ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია. ამიტომ თაობა „პ“-ს მართლაც არ ჰქონდა არავითარი არჩევანი, და საბჭოთა სამოცდაათიანების ბავშვები ზუსტად ისევე ირჩევდნენ „პეპსის“, როგორც მათი მშობლები – ბრეჟნევეს.

ასე იყო თუ ისე, ეს ბავშვები იწვნენ ზაფხულობით ზღვის პირას, თვალმოუშორებლად გასცქეროდნენ უღრუბლო, ცისფერ ჰორიზონტს, სვამდნენ ქალაქ ნოვოროსისკში შუშის ბოთლებში ჩამოსხმულ თბილ „პეპსი-კოლას“, და ოცნებობდნენ, რომ ოდესმე ეს შორი, აკრძალული სამყარო ზღვის მეორე ნაპირიდან მათ ცხოვრებაშიც შემოაღწევდა.

გავიდა ათი წელი და ამ სამყარომ იწყო შემოსვლა – თავიდან ფრთხილად და თავაზიანი ღიმილით, მერე კი სულ უფრო თამამად და თავდაჯერებით. მისი ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი აღმოჩნდა „პეპსი-კოლის“ სარეკლამო კლიპი, რომელიც, როგორც ბევრი მკვლევარი აღნიშნავდა, ამოსავალი ნერტილი აღმოჩნდა მთელი მსოფლიო კულტურის განვითარებაში. ამ კლიპში ერთმანეთს ადარებდნენ ორ მაიმუნს. მათგან ერთი სვამდა „ჩვეულებრივ კოლას“ და, შედეგად, პატარა კუბებისა და ჯოხების მეშვეობით უმარტივესი ლოგიკური მოქმედებების შესრულების უნარ-ჩვევებს იძენდა. მეორე კი სვამდა „პეპსი-კოლას“, მხიარულად ქშინავდა და ზღვისკენ მიქროდა ჯიპით, ლამაზ გოგოებთან ჩახუტებული, რომლებსაც აშკარად ფეხებზე ეკიდათ ქალთა თანასწორუფლებიანობა (როდესაც მაიმუნებთან ასეთ ახლო ურთიერთობას ამყარებ, უბრალოდ, ჯობია, არ იფიქრო ამგვარ თემებზე, ვინაიდან თანასწორობაც და უთანასწორობაც უეჭველად ერთნაირად დაგიმძიმებს სულს).

თუ კარგად ჩავუკვირდებით, მაშინვე ადვილი მისახვედრი იყო, რომ საქმე „პეპსი-კოლა“ კი არა, ფული იყო, რომელსაც ის პირდაპირ უკავშირდება. ამ დასკვნამდე მივყავდით, უპირველეს ყოვლისა, კლასიკურ ფროიდისტულ ასოციაციას, განპირობებულს პროდუქტის ფერით, მეორე მხრივ კი, იმ ლოგიკურ მოსაზრებას, რომ „პეპსი-კოლის“ ყლურნვა ძვირფასი მანქანების შექმნის საშუალებას იძლევა. მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ ამ კლიპის ღრმად გაანალიზებას (თუმცა კი, შესაძლოა, სწორედ აქ გვეპოვა ახსნა იმისა, თუ რატომ მოიხსენიებენ ეგრეთ წოდებული სამოციანელები ასეთი აჩემებით თაობა „პ“-ს ქაქისმწოველებს). ჩვენთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ თაობა „პ“-ს მთავარ სიმბოლოდ იქცა ჯიპზე ამხედრებული მაიმუნი.

ცოტა გულსატკენი კი იყო იმის გაგება, თუ როგორ წარ-

მოუდგენიათ საკუთარი აუდიტორია, ანუ ეგრეთ წოდებული target group ბიჭებს მედისონ-ავენიუს სარეკლამო სააგენტოებიდან, მაგრამ ისიც ძნელი იყო, ადამიანი არ გაოგნებულიყო ცხოვრების მათი ასეთი ღრმა ცოდნით. სწორედ ამ კლიპმა მიახვედრა რუსეთის ყინვასა და თოშში მოძაგდაგე ბევრი მაიმუნი, რომ დადგა ჟამი ჯიპებში გადასხდომისა და ადამიანთა მოდგმის ქალიშვილებთან მათი დაახლოებისა.

სიბრიყვეა, ამაში ანტირუსული შეთქმულების კვალი ეძებოს კაცმა. ანტირუსული შეთქმულება, ცხადია, არსებობს – პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ მასში მონაწილეობს რუსეთის მთელი ზრდასრული მოსახლეობა. ასე რომ, „პეპსი-კოლა“ აქ ნამდვილად არაფერ შუაშია. ის, რაც მოხდა, იყო უთვალავ წიგნში აღწერილი მსოფლიო პროცესის ნაწილი (საკმარისია, გავიხსენოთ ანდრეი ბიტოვის<sup>1</sup> „მაიმუნების მოლოდინში“ ან უილიამ ბოიდის<sup>2</sup> „ბრაზავილის პლაჟი“). ეს პროცესი არც ამერიკას ასცდა, თუმცა კი იქ ყველაფერი სულ სხვაგვარად წარიმართა – „კოკა-კოლამ“ საბოლოოდ გააძევა „პეპსი-კოლა“ ფერთა წითელი მოედნიდან და ის სრულიად უპერსპექტივოდ დატოვა, რაც საქმეში ჩახედული კაცისათვის ვატერლოოს ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების ტოლფასია. მომხდარი დაკავშირებული იყო იმ რელიგიური მემარჯვენეების საქმიანობასთან, რომლებიც ძალიან ძლიერები არიან შეერთებულ შტატებში. ისინი არ ცნობენ ევოლუციას. და ამ ხალხისთვის „კოკა-კოლა“ უკეთ ეწერება სამყაროს მათეულ სურათში, რადგან მაიმუნი, რომელიც მას სვამს, მაიმუნადვე რჩება. მაგრამ მაიმუნებზე ლაპარაკი რალაც გავვიგრძელდა – არადა, თითქოს ადამიანის ძებნას ვაპირებდით.

ვავილენ ტატარსკი წითლის წითელზე ისტორიულ გამარჯვებამდე კაი ხნით ადრე დაიბადა, ამიტომ ავტომატურად მოხვდა თაობა „პ“-ში, თუმცა კარგა ხნის განმავლობაში ამის

ბაიბურშიც არ იყო. იმ შორეულ წლებში ვინმეს რომ ეთქვა მისთვის, როცა გაიზრდები, კოპირატივერი გამოხვალო, განცვიფრებისგან ალბათ „პეპსი-კოლის“ ბოთლი პიონერული პლაჟის გახურებულ ქვიშაზე დაუფარდებოდა. იმ დროში ბავშვებს, წესით და რიგით, სწრაფვა უნდა ჰქონოდათ მეხანძრის ლაპლაპა ჩაფხუტის ან ექიმის თეთრი ხალათისკენ. თვით ისეთი უწყინარი სიტყვაც კი, როგორცაა „დიზაინერი“, დიად რუსულ ენას ლინგვისტიკური ლიმიტით მიკედლებულ საეჭვო ნეოლოგიზმად მიაჩნდა საერთაშორისო მდგომარეობის პირველ სერიოზულ გამწვავებამდე.

თუმცა მაშინ ენაშიც და ცხოვრებაშიც ძალიან ბევრი რამ იყო საეჭვო და უცნაური. აი, თუნდაც სახელი „ვაკილენი“, რომლითაც ტატარსკი დააჯილდოვა მამამ, რომელსაც სულის სიღრმეში გაერთიანებული ჰქონდა კომუნიზმის რწმენა და სამოციანელების იდეალები\*. ეს სახელი შედგებოდა სიტყვებისაგან „ვასილი აქსიონოვი“<sup>3</sup> და „ვლადიმირ ილიჩ ლენინი“<sup>4</sup>. ტატარსკის მამას, როგორც ჩანს, იოლად შეეძლო წარმოედგინა ერთგული ლენინელი, რომელიც აქსიონოვის ლალი სტრიქონების მეშვეობით მაღლიერად იმეცნებს, რომ მარქსიზმი თავდაპირველად თავისუფალი სიყვარულის მხარეს იდგა, ანდა ჯაზზე გარეკილი ესთეტი, რომელსაც საქსოფონის განსაკუთრებით განწილილი რულადა უცებ მიახვედრებს, რომ კომუნიზმი გაიმარჯვებს. მაგრამ ასეთი იყო არა მხოლოდ ტატარსკის მამა – ასეთი იყო ორმოცდაათიანი და სამოციანი წლების მთელი საბჭოთა თაობა, რომელმაც მსოფლიოს აჩუქა საავტორო

---

\* სამოციანელები – საბჭოთა ინტელიგენციის სუბკულტურა. თაობა, რომელიც სცენაზე გამოვიდა მე-20 ს-ის 60-იან წლებში. მათი შეხედულებები ჩამოყალიბდა სტალინიზმის, მეორე მსოფლიო ომისა და „ოტტეპელის“ (დათობის) წლების ისტორიულ კონტექსტში. მათ მიზნად არ ჰქონიათ კომუნისტური რეჟიმის დამხობა. მათი ამოცანა იყო ამ რეჟიმის „გაადამიანურება“.

სიმღერა<sup>4</sup> და პირველი ხელოვნური თანამგზავრით<sup>5</sup> კოსმოსის შავ სივრცეში გაათავა თავისი ოთხკუდიანი სპერმატოზოიდით, თანაც ისე, რომ ეგრევე არდამდგარ მომავალს მაინც ვერ მისწვდა.

ტატარსკის ძალიან რცხვენოდა თავისი სახელისა და, თუკი ამის საშუალება მიეცემოდა, ვოვად წარადგენდა ხოლმე თავს. შემდეგ დაიწყო მეგობრების მოტყუება, ეუბნებოდა, მამაჩემმა ასე იმიტომ დამარქვა, რომ აღმოსავლური მისტიკით იყო გატაცებული და ძველ ქალაქ ბაბილონს გულისხმობდა, მე, ვავილენს, მისი საიდუმლო დოქტრინის მემკვიდრეობით მიღება მომიწევს, აქსიონოვისა და ლენინის შენადნობი კი იმიტომ შექმნა, რომ მანიქეველობისა და ნატურფილოსოფიის მიმდევარი იყო და თავს მოვალედ რაცხდა, ნათელი საწყისი ბნელით გაეწონასწორებინაო. მიუხედავად ამ ბრწყინვალე გამონაგონისა, თვრამეტი წლის ასაკში ტატარსკიმ დიდი სიამოვნებით დაკარგა თავისი პირველი პასპორტი, მეორე კი უკვე ვლადიმირის სახელით აიღო.

ამის მერე მისი ცხოვრება ჩვეულებრივად წარიმართა. ჩააბარა ტექნიკურ ინსტიტუტში – რა თქმა უნდა, იმიტომ არა, რომ ტექნიკა უყვარდა (მისი სპეციალობა იყო რალაცნაირი ელექტროსადნობი ლუმელები), არამედ იმიტომ, რომ ჯარში წასვლა არ უნდოდა. მაგრამ ოცდაერთი წლისას დაემართა რალაც, რამაც მისი შემდგომი ბედი გადაწყვიტა.

ზაფხულში სოფელში წაიკითხა ბორის პასტერნაკის პატარა კრებული. ლექსებმა, რომელთა მიმართაც ადრე ვერავითარ

---

\* საავტორო, ანუ ბარდული მუსიკა – სასიმღერო ჟანრი, რომელიც გაჩნდა სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის რუსეთში მე-20 ს-ის შუა წლებში. მუსიკისა და ტექსტის ავტორი, რომელიც გიტარაზეც უკრავს, ამავე დროს შემსრულებელიცაა. სსრკ-ში ასეთები იყვნენ, მაგალითად, ბულატ ოკუჯავა და ვლადიმერ ვისოცკი.

\*\* პირველი ხელოვნური თანამგზავრი – საბჭოთა კოსმოსური აპარატი, რომელიც გაუშვეს ორბიტაზე 1957 წლის 4 ოქტომბერს.

მიდრეკილებას ვერ გრძნობდა, ისე შეძრა, რომ რამდენიმე კვირას მეტზე ველარაფერზე ფიქრობდა. მერე კი თავად დაინ-  
ყო წერა. სამარადჟამოდ დაამახსოვრდა პოდმოსკოვიეში\*,  
ტყის პირას, მინაში დამრეცად ჩაზრდილი ავტობუსის ჟანგიანი  
კარკასი. ამ კარკასის შორიახლო გონებაში გაუელვა პირველ-  
მა პოეტურმა ფრაზამ „სამხრეთისკენ მიცურავენ სარდინები  
ღრუბლების“ (შემდგომში შეამჩნია, რომ ამ ლექსს თევზის სუნი  
უდიოდა). ერთი სიტყვით, შემთხვევა იყო ფრიად ტიპური და  
ტიპურადვე დასრულდა – ტატარსკიმ ლიტერატურის ინსტი-  
ტუტში\*\* ჩააბარა. თუმცა პოეზიის განყოფილებაზე ვერ მოხვდა  
და მოუწია საბჭოთა ხალხების ენებიდან თარგმანით დაკმაყო-  
ფილებულიყო.\*\*\* ტატარსკი თავის მომავალს დაახლოებით  
ასე ხედავდა: დღისით – ცარიელი აუდიტორია ლიტინსტი-  
ტუტში, პნკარედი უზბეკურიდან ან ყირგიზულიდან, რომე-  
ლიც რალაც დროის განმავლობაში უნდა გაირითმოს მორიგი  
თარიღისთვის\*\*\*\*, საღამოობით კი – შრომა მარადისობისთვის.

შემდეგ თითქმის შეუმჩნეველად მოხდა მისი მომავლისათ-  
ვის ერთი არსებითი მოვლენა: სსრკ, რომლის განახლება და  
გაუმჯობესება დაინყეს დაახლოებით მაშინ, როცა ტატარ-  
სკიმ პროფესიის შეცვლა გადაწყვიტა, ისე გაუმჯობესდა, რომ

---

\* პოდმოსკოვიე – სხვაგვარად: მოსკოვის ოლქი. მდებარეობს მოსკოვის ირგვლივ.  
ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ 310 კილომეტრზეა გადაჭიმული, დასავლეთიდან  
აღმოსავლეთისკენ – 340 კმ-ზე.

\*\* მ. გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი – უმაღლესი ლიტერა-  
ტურული სახელმწიფო სასწავლებელი მოსკოვში. აქ შეისწავლიან ჰუმანიტარულ  
და საზოგადოებრივ დისციპლინებს, მხატვრული ლიტერატურის სხვადასხვა  
დარგებს: პროზას, პოეზიას, დრამატურგიას, თარგმანს და სხვ.

\*\*\* თარგმანით დაკმაყოფილება მოუხდა – ტატარსკი ჩაირიცხა საბჭოთა ხალხების  
ენებიდან თარგმანის განყოფილებაზე, რომელიც პრესტიჟულად არ ითვლებოდა.

\*\*\*\* უნდა გაირითმოს მორიგი თარიღისთვის – სსრკ-ს რომელიმე რესპუბლიკის ან  
მწერლის საიუბილეო თარიღისათვის მთარგმნელები იღებდნენ შეკვეთას და  
ამა თუ იმ ენიდან თარგმნიდნენ პნკარედს (სიტყვასიტყვით თარგმანს) რითმავდნენ,  
ანუ სალექსო ფორმას აძლევდნენ.



არსებობა სულ შეწყვიტა (თუკი სახელმწიფოს აქვს ნირვანაში გადასვლის უნარი, ეს სწორედ ისეთი შემთხვევა იყო). ამიტომ საბჭოთა ხალხების ენებიდან არანაირ თარგმანებზე უკვე აღარ შეიძლებოდა ლაპარაკი. ეს იყო დიდი დარტყმა, მაგრამ ტატარსკიმ გადაიტანა. რჩებოდა მხოლოდ სამუშაო მარადისობისთვის, და ეს საკმარისი იყო.

მაგრამ მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ. მარადისობასაც, რომლისთვისაც ტატარსკიმ თავისი დარჩენილი დღეებისა და სამუშაო საათების მიძღვნა გადანყვიტა, თანდათანობით რაღაც ემართებოდა. ამის გაგება კი ტატარსკის ძალებს ყველანაირად აღემატებოდა. მარადისობა ხომ – ყოველ შემთხვევაში, ის მუდამ ასე ფიქრობდა – იყო რაღაც უცვლელი, ურყევი და არანაირად არ იყო დამოკიდებული მსწრაფლწარმავალ მინიერ ნყოფაზე. თუკი, მაგალითად, პასტერნაკის პატარა კრებული, რომელმაც მისი ცხოვრება შეცვალა, უკვე მოხვდა ამ მარადისობაში, არ არსებობდა არანაირი ძალა, რომელიც შეძლებდა მის იქიდან განდევნას.

აღმოჩნდა, რომ ეს მთლად ასე არ არის. აღმოჩნდა, რომ მარადისობა არსებობდა მხოლოდ იქამდე, ვიდრე ტატარსკის გულწრფელად სწამდა მისი, ამ რწმენის მიღმა კი, სინამდვილეში, იგი არსადაც არ იყო. იმისათვის, რომ გულწრფელად გვეროდეს მარადისობისა, საჭიროა, ამ რწმენას სხვებიც იზიარებდნენ, ვინაიდან რწმენას, რომელსაც არავინ იზიარებს, შიზოფრენია ეწოდება. სხვებს კი – მათ შორის იმათაც, ვინც ტატარსკის მარადისობაზე სწორებას ასწავლიდა – რაღაც უცნაური ემართებოდათ.

არადა, ვერ იტყვი, რომ თვალთახედვა შეიცვალეს. თვით ამ სივრცემ, საითაც ეს მათი ადრინდელი თვალთახედვები იყო მიმართული (მზერა ხომ მუდამ საითკენლაცაა მიმართული), იწყო აგორგვლა და გაუჩინარება, სანამ მისგან ერთადერთი

პატარა, მიკროსკოპული ლაქა არ დარჩა გონების საქარე მინაზე. ირგვლივ სულ სხვა ლანდშაფტებმა იწყეს კრთომა.

ტატარსკი ცდილობდა, ებრძოლა და თან ისე, თითქოს სინამდვილეში არაფერი ხდებოდა. თავიდან გამოსდიოდა. იმ ადამიანებთან ახლო ურთიერთობისას, რომლებიც ასევე არაფერს იმჩნევდნენ, რალაც დროის განმავლობაში შეიძლებოდა იმის დაჯერება, რომ არაფერი ხდებოდა. მაგრამ დასასრულის მომენტი მოულოდნელად დადგა.

ერთხელ სეირნობისას ტატარსკი შუადღის შესვენებაზე დაკეტილ ფეხსაცმლის მალაზიასთან შეეკონდა. ვიტრინის მიღმა ზაფხულის ხვატში ოფლად იღვრებოდა სასიამოვნო გარეგნობის გათქვირებული გამყიდველი, რომელსაც ტატარსკიმ დანახვისთანავე რატომღაც მანკა შეარქვა, ხოლო ჭრელაჭრულა თურქული ნანარმის გროვაში იდგა ჭეშმარიტად ადგილობრივი წარმოების ერთი წყვილი ფეხსაცმელი.

ტატარსკი რალაც ძალიან ნაცნობთან კვლავშეხვედრის მყისიერმა და სულისშემძვრელმა განცდამ შეიპყრო. კარგი ტყავისაგან შეკერილი მაღალქუსლიანი, ცხვირნანვეტებული მაღალყელიანი მოყვითალო-მონითალო ფეხსაცმელები, დაგვირისტებული ცისფერი ძაფით და დამშვენებული არფის ფორმის დიდი ოქროსფერი ბალთებით – ეს არ იყო, უბრალოდ, უგემოვნო ან უხამსი რამ. იგი აშკარად განასახიერებდა იმას, რასაც ლიტინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურის ერთმა მთვრალმა მასწავლებელმა „ჩვენი გეშტალტი“ უწოდა, და ეს ისეთი საცოდავი, სასაცილო და გულის ამაჩუყებელი (განსაკუთრებით არფა-ბალთები) იყო, რომ ტატარსკის თვალზე ცრემლი მოერია. ფეხსაცმელზე მტვრის სქელი ფენა იდო – ახალ ეპოქას ისინი აშკარად არ სჭირდებოდა.

ტატარსკიმ იცოდა, რომ არც თვითონ სჭირდებოდა ამ ეპოქას, მაგრამ მოასწრო შეგუებოდა ამ მწარე ცოდნას და